**სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის**

**ბრძანება № 01-09-10/82**

ქ. თბილისი 01 07 2020 წ.

სტუდენტთა რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის" 22-ე მუხლის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, „შპს „დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის/აბიტურიენტებისათვის რიგგარეშე მობილობის პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ" სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2020 წლის 26 ივნისის N 1.1/64 ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ გამოკითხვის შედეგად მიღებული დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2020 წლის 6 ივლისიდან 15 ივლისის ჩათვლით. საბუთები მიიღება ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა $10^{00}$ დან $16^{00}$ საათამდე (კოსტავას 77, სტუ-ის ადმინისტრაციული კორპუსი, ოთახი N 350) ;

2. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ-ის სწავლების დეპარტამენტის უფროსს თ წერეთელს;

3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ს კანცელარიის უფროსს ე. ოხანაშვილს;

4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანმა მოამზადოს მოტივირებული დასკვნები არსებული წესის თანახმად და წარადგინოს სწავლების დეპარტამერნტში (დანართი 2) არაუგვიანეს 2020 წლის 17 ივლისისა;

5. 2020-2021 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წარდგენა უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2020 წლის 21 ივლისისა;

6. 2020-2021 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანება გამოიცეს არაუგვიანეს 2020 წლის 27 ივლისისა;

7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლ.კლიმიაშვილს;

8. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი

დავით გურგენიძე

*დანართი 1*

რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის დედანი და ასლი;
3. სამხედრო მიწერის მოწმობის დედანი და ასლი (ვაჟებისათვის);
4. პირად საქმეში არსებული ყველა დოკუმენტი;
5. სრული ზოგადი განათლების ატესტატის ასლი.

*დანართი 2*

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ვიცე-რექტორი ________________ ლ. კლიმიაშვილი

დასკვნა

სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ

(სტუდენტთა გადმოყვანა-მობილობა)

| ინფორმაცია სტუდენტის შესახებ: | |
|---|---|
| სახელი და გვარი: | |
| სტუდენტის პირადი ნომერი: | |
| განათლების საფეხური: | ❑ ბაკალავრიატი |

| ინფორმაცია გამომშვები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) შესახებ: | |
|---|---|
| გამომშვები უსდ-ს დასახელება: | |
| გამომშვებ უსდ-ში გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: | |
| გამომშვებ უსდ-ში სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი: | |

| ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტის შესახებ: | |
|---|---|
| მიმღები ფაკულტეტის დასახელება: | |
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: | |

| სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების ანალიზი: |
|---|

| საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტის მიერ გამომშვებ უსდ-ში შესწავლილი საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით) | სასწავლო კურსის მოცულობა, | | შეფასება | სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით) | სასწავლო კურსის მოცულობა, | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ECTS კრედიტი | აკადემიური საათი | | | ECTS კრედიტი | აკადემიური საათი |
| | | | | | | |
| | | | | | | |

| გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობის შესახებ: | |
|---|---|
| სტუდენტის მიერ გამომშვები უსდ-ში შესწავლილი საგნების რაოდენობა: | |
| სტუდენტის მიერ გამომშვები უსდ-ში დაგროვილი კრედიტების რაოდენობა: | |
| მათ შორის სტუ -ს მიერ აღიარებული საგნების რაოდენობა: | |
| მათ შორის სტუ-ს მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა: | |

**დასკვნა:**

❑ რეკომენდირებულია გადმოყვანა ❑ გადმოყვანა არ არის რეკომენდირებული

**შენიშვნა**

| ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ ასათვისებელი საგნების რაოდენობა: | |
|---|---|

| ასათვისებელი საგნების ჩამონათვალი | | |
|---|---|---|
| № | საგნის დასახელება | ECTS კრედიტი |
| | | |
| | | |
| | სულ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: | |

სწავლების დეპარტამენტის უფროსი:

თ.წერეთელი ხელმოწერა

ფაკულტეტის დეკანი:

ხელმოწერა

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

ხელმოწერა